

მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის განვითარების შეფასება ილიას  
სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგთა მომზადების პროგრამების  
ფარგლებში

ავტორი: თინათინ თეზელაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების  
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე, მოწვეული პედაგოგი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015

## განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ კვლევის მონაცემების შეგროვება, დამუშავება და დასკვნების გამოტანა მოხდაეთიკური ნორმების დაცვით. მუშაობისას სტუდენტებისგან და პროფესორებისგან მიღებული მქონდა ინფორმირებული თანხმობა, მათ ჰქონდათ სრული ინფორმაცია საკვლევი თემის დამიზნის შესახებ.

ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული, ან ციტირებული სათანადო წესების დაცვით.

თინათინ თეზელაშვილი

06.07.2015

## სარჩევი

|                                                                                                                                                  |    |
|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|----|
| აბსტრაქტი.....                                                                                                                                   | 1  |
| ABSTRACT.....                                                                                                                                    | 2  |
| შესავალი.....                                                                                                                                    | 3  |
| კვლევის მეთოდები.....                                                                                                                            | 18 |
| კვლევის შედეგები და შედეგების განხილვა.....                                                                                                      | 20 |
| „დაწყებითი სკოლის პედაგოგიკის“ პროგრამის კურიკულუმის ზოგადი<br>შინაარსი და მისი ურთიერმიმართება მასწავლებლის პროფესიული ეთიკის<br>კოდექსთან..... | 20 |
| კურსების შინაარსობრივი მხარის ანალიზი და ვალიდურობა პროფესიული<br>ეთიკის კუთხით.....                                                             | 23 |
| შედეგების შეჯამება.....                                                                                                                          | 29 |
| სამომავლო პერსპექტივა და რეკომენდაციები.....                                                                                                     | 30 |
| ბიბლიოგრაფია.....                                                                                                                                | 32 |
| დანართი.....                                                                                                                                     | 34 |

## აბსტრაქტი

**კვლევის მიზანია:** საშუალო განათლების რგოლში ნაკლოვანებების აღმოფხვრა და თვისობრივი ოპტიმიზაცია, ამისათვის დაინტერესებული პოპულაციის აზრის შესწავლა, შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება.

**კვლევის მეთოდებში** გამოყენებულ იქნა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში „დაწყებითი სკოლის პედაგოგიკის“ საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის საფუძვლიანი შესწავლა, რომელიც ადაპტირდა მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის კოდექსთან; ამასთან, ჩატარდა ფოკუს ჯგუფები უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის (ბაკალავრიატის) სტუდენტებთან და ჩაღრმავებული ინტერვიუები ამავე პროგრამის პროფესორებთან.

ჩატარებული **კვლევის შედეგად** დადგინდა შემდეგი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დღეისთვის მოქმედი პედაგოგთა მომზადების პროგრამა ეფექტურად აწვდის მასწავლებლის პროფესიული ეთიკის ძირითად კომპეტენციებს - სწავლებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნას, უწყვეტი პროფესიული განვითარებისთვის ზრუნვას და სკოლის სოციალურ ოპტიმალური ურთიერთობის დამყარებას.

ქვემოთ განხილული **კვლევის პრაქტიკული მხარე** მდგომარეობს შემდეგში: ჯანსაღი, სახელმწიფოებრივად მოაზროვნე მომავალი თაობის აღზრდისათვის პროფესიული ეთიკის კუთხით მაღალ საფეხურზე მდგომი პედაგოგის მომზადების ხელშეწყობა, როგორც ხარისხიანი სწავლების მთავარი მოქმედი პირისა.

## ABSTRACT

The aim of the research is the defect prevention in the secondary education and the development of positive features in the process of studying. The aim is to study the public opinion of the interested segment, to analyze the results and make recommendations.

In the methods of research I have studied (analyzed) the curriculum of Bachelor's Program of Ilia State University, the "Pedagogy in Primary Schools". The program was adapted to the code of professional ethics for the teachers.

Focus groups were formed with the Bachelor students of the University and professors of the above mentioned program were also interviewed.

The research showed that, the active Teacher Preparation program in Ilia State University works efficiently and develops the main parts of Teacher's Professional ethics, such as:

Creating the proper environment for studying, caring for professional development, and establishing the optimal relations to the school society.

The practical part of the research discussed below is to prepare the educator, standing at the high level of Professional Ethics, for growing the mentally healthy generation, as the educator is definitely the most important part of quality teaching.